სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 1040

დამატების № 183

კვირა, 10 ნოემბერი 1913 წ.

რომანტიული თავგადასავალი ვახტანგ დევრიანისა

(შემდეგი *)

ერთ უქმე დღეს მათ გადასწყვიტეს ქალაქ გარეთ გასეირნება. ჩასხდნენ მატარებელში, შუადღისას რომ ტფილისიდან გადის, და მცხეთის სადგურზე ჩამოხტნენ. აქ დაადგნენ გზას, რომელსაც ყორნის ცხისკენ მიჰყავს. ნანგრევებთან ცოტა ხნით შეჩერდნენ გაოცებულნი. მათ წინ გადაიშალა სურათი, შეუდარებელი თავისი სიდიადით. თუმცა ამ ადგილების მნიშვნელობა თავისი სამშობლოსთვის არც ერთმა მათ განმა არ იცოდა, მაგრამ მათი გრძნობა ძალაუნებურად დაემორჩილა მათი სიმშვენიერის გავლენას.

† ანტონ ფურცელაძე.

ელენე ქვის კიდეს მიეყრდნო, დაბლობში მიმდინარე წყლის ტალღებს დაეცქირდა და ოცნებაში წავიდა. მთელი მისი არსება გამოუთქმელ სიმჩატეს და უზრუნველობას ჰგრძნობდა. მას უნდოდა ტანთ გაეხადა, თმა გაეშალა და ალივით ქვაზე დამჯდარიყო. ან ჩაშვებულიყო წყლის მორევში ვერცხლის ქერტლიან თევზებთან ერთად საცურაოდ.

ახალგაზდა კაცი ვეღარაფერს ჰხედავდა ელენეს გარდა. ის მას უცქეროდა ხარბად, სულგანაბული. არასოდეს არ სჩვენებია ისე მომხიბვლელი და სანდომიანი, როგორც ეხლა, როცა მთელი მისი სხეული გაზაფხულის მზის სხივებში იყო გახვეული. შეუმჩნევლად მიუახლოვდა, წელზე ნაზად ხელი შემოაჭდო და ყურის ძირთან აკოცა.

ქალი ოდნავაც არ განძრეულა: ისე ბუნებრივად ეჩვენა ეს ამბორი, ისე შეთანხმებულად ამ წარმტაც მიდამოებთან, თითქო მთიდან მოწყვეტილი ნიავი ყოფილიყო. შემდეგ, თითქო სიზმრისაგან გამოეერკვიაო, გადაჭარბებულს სიმხიარულეს მიეცა. მან დაიწყო ჭიკჭიკი, მღერა, სირბილი, ხტუნაობა გალიიდან გამოშვებული ჩიტივით. ბოლოს დაღლილობა და წყურვილი იგრძნო და ვაჟს უკან დაბრუნება სთხოვა.



კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი.
მისი კონცერტების გამო ქუთაისში.

სადგურზე ვახტანგი ლუდითგაუმასპინძლდა. შემდეგ საღამოს მატარებლით ტფილისში დაბრუნდნენ და უსიტყვოდ ქალის ბინისაკენ გასწიეს. ოთახში შესვლისათანავე ელენემ კარები მიხურა, ვაჟს კისერზე ხელები მოჰხვია და მკერდზე თავი დაუდო. პატარა ბავშვივით, რომელმაც რამოდენიმე დღე დედის დაშორებით გაატარა. ვაჟმა ტახტისკენ მიიზიდა, ძალით მუხლებზე დაისვა და გაშმაგებით კოცნა დაუწყო, თითქო მშიერია და შეჭმა უნდაო. ქალი ცოტა არ იყო დააფრთხო ამ მოულოდნელმა სიტყვამ: მან დიდის ვაივაგლახით თავი გაინთავისუფლა, ფანჯარასთან გაჩერდა და ქუჩისკენ დაიწყო ყურება. ვახტანგი წამოდგა, ქუდი დაიხურა და გამოუმშვიდობებლად გარეთ გავიდა. ელენეს უკან არ მოუხედნია. მაგრამ, როცა მან ქუჩაზე მიმავალი ყმაწვილი დაინახა, რაღაც მწვავი, გულის შემკუმშავი სევდა და სინანული იგრძნო. ის ეხლა მზად იყო დაეძახა მისთვის, ყელზე გადაჭდომოდა და აეხსნა, თუნა რიგ უზომოდ უყვარს იგი. ეთქვა აგრედვე, რომ ის მზადაა შესწიროს მას ყველაფერი, რისი შეწირვაც შეუძლია ხელუხლებელ ქალწულს საყვარელი კაცისთვის. ეთქვა არა უხეში სიტყვებით, არამედ ნაზად თვალებში თვალების გაყრით.

* * *

დრო მიდიოდა შეუმჩნევლად, აჩქარებულის ნაბიჯით. ოსკარ უალდის ზღაპრები კარგა ხანია დავიწყებული იყო. მათი ადგილი დაიკავა სხვა ზღაპარმა, რომელიც უძლიერესია ყოველს სინამდვილეზე. ადამიანები მას ყოველთვის სიყვარულს უწოდებენ, მიტომ რომ მათს ენას აკლია ათი ათასი სიტყვა, მისი მრავალფერადობის გამოსახატავად რომ არის საჭირო.

ელენე თავს ისე გრძნობდა თითქო მოჯადოებულს კუნძულზე სცხოვრობდა, სადღაც შორს ადამიანებისაგან. ყველაფერი გულგრილობის სიბნელემ მოიცო ვახტანგის გარდა. ის ბედნიერი იყო მასთან ერთად ყოფნით, მასთან საუბრით, მისი ერთი გაღიმებით. ხშირად საკმაო იყო მისი სახელის გაგონება, რომ მთელს ტანში ნეტარების ჟრუანტელი ეგრძნო. სწამდა, რომ ცხოვრების მიზანი მიღწეულია, რომ სხვა აღარაფერი დარჩენია სალტოლველი და საძიებელი.

ვახტანგი პირიქით სრულიადაც არ იყო კმაყოფილი ამ მდგომარეობით. გარდამავალ ხანად სთვლიდა მას. ის განიცდი-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 182.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტფ. ქართულ გამნაზიასთან არსებული უფასო სასადილო: სასადილოში არიან გამგე კომიტეტის თავმჯდომარე **კნ. მ. ვ. ჯამბაკურ ორბელიანისა** (+) და კომიტეტის წევრები.

(იხ. დღევ. „სახ. გაზ.“)

და იმ გვარს გრძნობას, როგორსაც განიცდის ადამიანი, როცა შთის მწვერვალზე ასვლას ჰლამობს. აი, უკვე სძლია პირველი დაბრკოლება და დაიპყრო ქვედა კალთა. მაგრამ ის არ სდგება: ის მიილტვის მოუთმენლად ზევით, რათა დაიმორჩილოს შთელი მთა მისი ფერდოებით, ხრამებით და ნაპრალებით.

ხშირად, ნორჩი სხეულის სიახლოვით აღელვებული და ვნება აშლილი, იმ წუთებში, როცა ყოველი მამაკაცი გულახდილია ცინიზმამდე, ვახტანგი თავდავიწყებით ეკვრებოდა ელენეს და ბუტბუტებდა სიტყვებს, რომელნიც უთვალავჯერ განმეორებულან ამ ქვეყნად.

— შევსვათ ძირამდე სიამოვნების ფიალა, დავსტკბეთ სიყვარულით, როგორც ფუტკარი სტკბება ყვავილის წვენით!

ქალს გულწრფელად აკვირვებდა ასეთი დაჟინება. განა შეტი სიამოვნება ღა შეიძლება, განა არსებობს კიდევ სიტკბოება, რომელიც შეედრება გულის სილრმიდან ამოკრილს „გენაცვალეს“?

ვაჟი სულით და გულით ჰგმობდა ზედმეტს თავდაჭერილობას და ყოველ დღე ჰკითხულობდა ერთსა და იმავე ქადაგებას ებრაულ-ქრისტიანული მწიროობის შესახებ, რომელიც სპობს ცხოვრების სიხარულს და მიწაში მარხავს ბუნების მიერ მომადლებულ ნიჭს. შუალამისას შინ ბრუნდებოდა ძალზე დაღვრემილი და ნერვებ აშლილი.

ოთახში შესვლისთანავე სანთლის აუნთებლად ტანთ იხდიდა და ლოგინში წვებოდა. მაგრამ ამოდ სცდილობდა დაძინებას. გული აჩქარებით სცემდა, წარსული დღის შთაბეჭდილებები თავში ირეოდნენ. გარშემო მჭვარტლის და იოდის სუნი იდგა, ჭერზე თაგვები დარბოდნენ ცოფ-შეყრილნივით. შეზობელს ოთახში კი დიასახლისი ხვრინავდა. ეს ხვრინვა ჩვეულებრივად უცნაური სტვენით იწყებოდა, შემდეგ უცებ საშინელ ხრიალად იცვლებოდა და ხშირად გათენებამდე გრძელდებოდა.

ერთხელ ვახტანგი მოთმინებიდან გამოვიდა, ბრაზმორეული ლოგინიდან წამოიჭრა და მთელის ძალღონით კედელზე დაარახუნა. დედაკაცმა გამოიღვიძა და იკითხა:

— რა გნებავთ ბატონო ვახტანგ?—ეს სიტყვები ისეთი არაჩვეულებრივი სინაზით იყო წარმოთქმული, რომ ყმაწვილკაცს შეეშინდა და ფეხაკრეფით ლოგინს დაუბრუნდა გადასწყვიტა დროებით დამორჩილებოდა ბედისწერას.

ამ ხანაში მისი პატარა ფელეტონებს და მინიატურებს მსოფლიო სევდისა და რეზიგნაციის ბეჭედი ესვა.

***

ერთს საღამოს ის ელენეს ესტუმრა მოყვითალო ვარდით. მისალმებისთანავე ახლად გაშლილი კოკორი ლოყასთან მიიდო და იკითხა, რავდენად ჰგავს მისი სახის ფერი ყვავილისას. ქალმა გულისტკივილით შეამჩნია, რომ ის ამ ბოლო დროს მართლაც საგრძნობლად გახდა და გაყვითლდა. მზრუნველობით მიუახლოვდა, თმაში თითები შეუყო და მიეფერა.

ვაჟმა სთხოვა მკერდი გაეხსნა და ტიტველს სხეულზე მიეკრა ეს ვარდი, რომელიც ეხლა თითქო მისი ტყუპი, მისი ორობი იყო. ქალი დიდხანს უარზე იდგა. ბოლოს, დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ დასთანხმდა მით უმეტეს ვახტანგმა დაარწმუნა, რომ მისი სურვილი წმინდა ესთეტიური იყო და არა ეროტიული.

ქალს ღილები გაუხსნა მძიმედ, სერიოზულად და გულვრილად, როგორც დედათა სნეულების ექიმები იქცევიან ხოლმე. ვარდი ძუძუებს შუა ჩაუდო. სამი კოკორი ერთმანეთს ჰგვანდა და-ძმასავით. ნორჩი, გამჭვირვალე კანი, ყვავილის ფერსა და ლაპის სინათლესთან ერთად ჰქმნიდა ტონების შეუდარებელს ჰარმონიას, რომელიმაც ქალიც მოჰხიბლა და გააკვირვა. მან პირველად აღმოაჩინა უდიდესი ნათესაობა, რომელიც არსებობს ბუნებაში, ნათესაობა მშვენიერს სხეულსა და მშვენიერს ყვავილს შორის.

მაგრამ ესთეტიურმა ცქერამ და სიამოვნებამ ჩქარა დაუთმო ადგილი ვნებას და ხორცელს გულის თქმას. ვაჟი მთრთოლვარე ხელებით შეეხო გაღელილს მკერდს. მის თვალებში ქალის ტანმა უცებ დაჰკარგა იდუმალობის შარავანდედი. ის გათამამდა და აენთო გალიაში მომწყვდეულ მხეცივით, რომელიც თავის მწვრთნელის სახეზე შიშსა ან სისხლის წვეთს აჩენს...

. . . . ბოლოს ქალი დანებდა, დანებდა უფრო დედაკაცური სიბრალულისა, დედაკაცური ცნობის-მოყვარეობისა, ვიდრე ნამდვილი საკუთარი სურვილის გამო...

ვახტანგი შინ გათენებისას დაბრუნდა. ფანჯარა გააღო და აღმოსავლეთისკენ გაიხედა. ცა სისხლის ფრად იღებებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში დილის გრილი ნიავი შემოიჭრა და ახლად დამწიფებული ალუბლის ნაზი სურნელება შემოიტანა. მეზობელი სახლის სახურავზე ნიბლია ჟსტვენდა. პაუზების დროს შორიდან ისმოდა მეორე ნიბლიას პასუხი. ყმაწვილი კარგა ხანს უგდებდა ყურს ამ უცნაურს დიალოგს. შემდეგ სარკე აიღო და თავის სახეს დააკვირდა. ძალიან მოეწონა ის. ტუჩების გარშემო პირველად აღმოაჩინა ოდნავ სასტიკი ღიმილი, ლომის ღიმილი, უტყუარი ნიშანი ზეკაცობისა.

***

ელენე ნეტარებდა სხვისი ნეტარებით. რასაკვირველია ის გრძნობდა იმ გამოურკვეველს სევდას, რომელსაც გრძნობს ქალწული, როცა სამუდამოდ ჰკარგავს იმას, რისი დაბრუნებაც აღარ შეიძლება. მაგრამ ამ სევდას სავსებით იწონიდა ის სიხარული, სულგრძელი ადამიანი რომ განიცდის, როცა თავისი საჩუქარით საყვარელ არსებას აბედნიერებს. ჰხედავდა რომ ეხლა ვახტანგი ყოველთვის მხიარული და კმაყოფილი იყო და ეს გარემოება მასში კიდევ უფრო აღვივებდა თავგანწირვის და დამორჩილების სურვილს. და ისიც ემორჩილებოდა სხვის ნებას.

უვახტანგოდ ეხლა ერთი დღის გაძლებაც უჭირდა. რაღაც გამოურკვეველი შიში და მოუსვენარობა იცავდა მთელს მის არსებას, როცა ვაჟი იგვიანებდა. ერთს ადგილზე ვერ სდგებოდა, წამ-და-უწუმ ფანჯარასთან მირბოდა, შუბლით ცივს მინას ეკვროდა და ქუჩაში მიმავალს ხალხს აკვირდებოდა. დღამეებისას, როცა საგნები და ადამიანები ნელ-ნელა სიბნელეში ინთქებოდნენ, მის გულს რაღაც გამოუთქმელი კაეშანი აწვებოდა. მოწყვეტილი ტახტზე ეშვებოდა, სახეს ბალიშებში მალავდა და სულგანაბული ყურს უგდებდა ნაცნობი ნაბიჯების მოახლოვებას.



ქართულ „გიმნაზიასთან არსებული უფასო სასადილოს სამზარეულო. (იხ. დღევ. „საზ. გაზ.")

ხან და ხან ფიქრობდა წასულიყო საძებნად. მაგრამ ვახტანგმა დაბეჯითებით სთხოვა, არასოდეს რედაქციაში ან ბინაზე არ მისულიყო მის სანახავად: ის გაურბოდა დიადი გრძნობის შარაზე გამოფენას, მას არ უნდოდა გაუფრთხილებლობით ვისმესთვის საბაბი მიეცა ტალახიანი ხელით მის სპეტაკს ზრახვას შეჰხებოდნენ. ქალს სჯეროდა ამ სიტყვებისა და ყოველთვის თავს იკავებდა...

აი უცებ ქალაქის გამოურკვეველს გუგუნში ის არჩევდა აჩქარებული ფეხის ხმას, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა. სიხ რულისა და შვების გრძნობას ჰგვრიდა ეს ხმა მთელს მის სხეულს. სწრაფად ზეზე დგებოდა, თმასა და ტანისამოსს ისწორებდა და ძვირფასს სტუმარს კარებს უღებდა.

ჟურნალისტი შემოდიოდა გამარჯვებულ რომაელ მხედართმთავარივით. ქუდს ტახტისკენ ისროდა და მძიმედ სკამზე ეშვებოდა. ქალი ეგებებოდა, როგორც ეგებება ერთგული ძაღლი მოგზაურობიდან შინ დაბრუნებულს პატრონს. მაგიდაზე თავს სდებდა, ქვევიდან თვალებში შეჰყურებდა და დაგვიანების მიზეზს ჰკითხავდა.

ვაჟი უპასუხებდა, რომ ეხლა აღარ შეუძლიან სიყვარულსა და პირადს განცხრომას იმდენი დრო მოახმაროს როგორც წინად. მას მოუწოდებს მაღალი ვალდებულება, ვალდებულება მწერლისა და საზოგადო მოღვაწისა. უკაცობისა გამო თითქმის მთელი რედაქცია მას აწვევს კისერზე. ხუმრობა საქმე როდია ყოველ-დღიური გაზეთის გაძღოლა და ისიც რუსულს ენაზე. მკითხველი საზოგადოება უფრო ფაქიზ გემოვნებისაა, უფრო ნაზად შეზავებულს საკვებს მოითხოვს. ამას გარდა ვერ დაივიწყებს იმ იდეალებსაც, ბავშობიდანვე რომ ატარებს გულის სიღრმეში. უსახელო ჟურნალისტის ბედი სრულიადაც არ ულიმის. სრულიადაც არ სწადიან თავისი ნიჭი ქრონიკასა და რეცენზიებში ჩამარხოს. არა, ის სცდილობს გაძღვეროს ღვთიური ნაპერწკალი, თავის ბუნებაში რომ გრძნობს და შემდეგ თავის ერს მოევლინოს ციცხლად, ცეცხლად, რომელიც სწვავს და ანადგურებს ყოველივეს, რაც დრომოჭმული და დახავსებულია.

ეხლახან ამზადებს დიდს გამოკვლევას რუსთა სიმბოლისტებისა და მათი საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ. აზრად აქვს ეს შრომა ჯერ საჯაროდ წაიკითხოს და შემდეგ ცალკე გამოსცეს. ეს, ასე ვსთქვათ, მისი მომავალი სარბიელის დასაწყისი იქნება.

შემდეგ ფერად-ფერადი სიტყვებით ჰხატავდა მომავალს სარბიელს, ამ ფართო ასპარეზს, მის თვალწინ რომ იშლებოდა. ნათლად ჰხედავდა თავის თავს, როგორიც იქმნება სულ რამოდენიმე წლის შემდეგ: ახალგაზდა, მაგრამ უკვე კარგად ცნობილი მგოსანი, მჭერმეტყველი, ყვალს სათაყვანები ლექტორი. აი, დღეს მისი საჯარო ლექციაა გამოცხადებული. დარბაზში ტევა არაა. ყველა მოუთმენლად ელის კარგად ნაცნობი სახის დანახვას. აი, ისიც შემოდის და თავდაჭერილი კეთილშობილური მიმოხვრით კათედრაზე ადის. ათასი თვალი მისკენ არის მიპყრობილი. ნისლით დაფარული მისი თვალები კი ვიღაცას ეძებენ. ყველა ცნობის-მოყვარეობით იქით იცქირება, საითკენაც მან სალამი გაგზავნა თავის ოდნავ დახრით. მიმალულს კუთხეში ელენეს ჰხედავენ! ქალების სახეზე შური იხატება, კაცებისაზე კი სევდიანი აღტაცება.

მაგრამ გაისმის პირველი სიტყვა და მთელი დარმაზი ერთი გრძნობით იმსჭვალება. დასაწყისში ის უფრო რაიმე გარეულს კატას ჰგავს, სისხლის მსმელს, რომელიც ძალ-ღონეს იკრეფს მსხვრეპლზე თავდასაცემად. შემდეგ თან და თან ენერგიას შლის და მხეცთა გენიოსურს მწვრთნელს ემსგავსება. თავის წინ ჰხედავს დასაურვებელ ცხოველთა ჯოგს, რომელიც სავსებით ემორჩილება მის ჯადოსნურ მიმოხვრათა გავლენას. ინგლისური მათრახი იზნიქება მის ხელში. გაისმის ტკაცანი. მას ჰგონია შოლტის ხმაურობაა. სინამდვილეში კი აღტაცებული ბრბო ტაშის ცემით სწყვეტს მის სიტყვათა მიმდინარეობას.

გაათავა. დარბაზს რამოდენიმე წუთით სამარისებური დუმილი იცავს. ბრბო ვერ გამორკვეულა: ის ნახევრად შეუგნებლად გრძნობს, რომ ეს იყო არა მშრალი ქადაგება, არამედ დიადი მღვდელთ მოქმედება. შემდეგ გაისმის ვაშას გრიალი. მამაკაცები სკამებს ამტვრევენ, ქალები ჰისტერიულად გაჰკივიან. გამარჯვებული კი გადის წყნარი, ამაყი ნაბიჯით.

გარედ ავტომობილი ელის. ნახევრად ბნელს კუთხეში ელენეა ძიყრდნობილი. სახეზე პირბადე აქვს აფარებული, მაგრამ ნათლად სჩანს, რომ ფერწასული და აღელვებულია. ავტომობილი იძვრის. ორი განმარტოებული ადამიანი ერთმანეთს ეკვრის და ყველაფერ დავიწყებას ეძლევა ვნებიანს კოცნაში...

.... ელენე თავის ოთახშია და მის დაბრუნებას ელის. ის მისვენებულია რბილს სავარძელზე. მის წინ სპილოს ძვლის პატარა ტაბლაზე ბროლის ლარნაკში უცხო ყვავილების თაიგული. გაღებულს ფანჯარაში შემოისმის შადრევანის ჩხრიალი, მარმალილოს აუზიდან რომ სჩქეფს. ბინდდება. ვახტანგი უხმოდ შედის ნოხჩამოფარებულ კარებში და მოულოდნელად ჰკოცნის მას კისერზე, იმ ალაგას, სადაც თმა იწყება...

ელენე სავსებით მოხიბლული იყო ამ სურათებით. მასში იღვიძებდა დიდებისა და ფუფუნების მოთხოვნილება, თითქმის ყოველს დედაკაცში რომ არის დაფარული. მაგრამ მასთან ერთად თავის ბუნების სიღრმეში ამჩნევდა სხვა გრძნობის მოძრაობას, სხვა ინსტინქტს, ძლიერს, როგორც თვით სიყვარული და სიკვდილი: ინსტინქტს დედობრივობისას.

განმარტოების წუთებში ხშირად ოცნებობდა ბავშვის ყოლაზე. ოცნებაში თითქმის ჰხედავდა კიდეც პირმშოს, პატარა, თეთრ ტანისამოსით გამოწყობილს ვაჟს, რომელიც სეირნობის დროს თათებით უმწეოდ ჩასჭიდებია მის ნეკს. ხან და ხან ჰფიქრობდა, რომ ეს არის სიყვარულის საბოლოო მიზანი, რომ ხორციელს გულის თქმას სხვა გასამართლებელი საბუთი არა აქვს, გარდა შვილის გაჩენისა.

ერთხელ, როცა ვახტანგი ოცნებით შეზარხოშებული იყო, ქალი მას ახლო მიუჯდა, თავი თავს მიუდო და თავის გულის ნადები გაუმხილა. ჰკითხა აგრედვე, სურს თუ არა მას საყვარელი არსებისაგან ბავშვის ყოლა.

ყმაწვილს არაფრად მოეწონა ეს აზრი. არა, ის სრულიადაც არ ფიქრობს ამის შესახებ. უფრო საკუთარი პიროვნების გაღრმავებას და გაკეთილშობილებისკენ მიილტვის, ვიდრე მოდგმის გამრავლებისაკენ. საზოგადოდ ეს გამრავლების ალღო დაბალი რასის დამახასიათებელი თვისებაა. ყველაზე მეტად ნაყოფიერნი ზანგები, ებრაელები და ქართველებია. მაღალი რასები კი განვითარებული ინტელექტის საშუალებით, სქესობრივს აქტში, ასე ვთქვათ, დისოციაციას ახდენენ: ისინი ანცალკევებენ უაღრეს, დიონისურ სიამოვნებას ცხოველური, პანისებური ნაყოფიერებისაგან. ლომები და ვეფხვები ნაკლებ მრავლდებიან, მაგრამ ერთი მათი ლეკვი სჯობს ათას კურდღლის ბაჭიას.

***

თუმცა ახალი ქართველი ვეფხის ტყაოსანი გულწრფელად წინააღმდეგი იყო შვილის გაჩენისა, მაგრამ ბუნებამ ალბად ცოტა სხვანაირად განსაჯა და ელენემ ერთს დღეს შეამჩნია, რომ ფეხმძიმედ არის. ამ აღმოჩენამ პირველად დააღონა და შეაშინა, მაგრამ შემდეგ თან და თან დამშვიდდა და შეეცადა თავის მდგომარეობისთვის ანგარიში გაეწია.

ჩვენი საზოგადოების შეხედულება, უკანონო სიყვარულის ნაყოფის შესახებ, რასაკვირველია, კარგად იცოდა. ამიტომ გადასწყვიტა არ დაეყოვნებინა და ვახტანგისთვის პირველი შეხვედრისთანავე აეხსნა საქმის გარემოება. მისი აზრით სჯობდა ეხლავე სოფლად წასულიყვნენ ჯვარის დასაწერად.

ვახტანგი ამ დღეს მეტის მეტად კარგს გუნებაზე იყო, როცა მივიდა. დილით უკვე დაემთავრებინა შესავალი იმ შრომისა, სიმბოლისტების შესახებ რომ ამზადებდა. ეს შესავალი, მისი სიტყვებით, ხუთს თაბახს შეიკავდა და სავსე იყო ახალი, ჯერ გამოუთქმელი აზრებით და შეხედულებებით. თვითონ მას აკვირვებდა ასეთი ნაყოფიერება იდეათა სფეროში.

ელენე გრძნობდა, რომ ვაჟი არასოდეს არ ჰყვარებია ისე ძლიერ, როგორც ეხლა, ამ წუთში. ეხლა ის მისთვის ძვირფასი იყო, არა მარტო როგორც სატრფო, არამედ როგორც მამა მისი მომავალი შვილისა. მუხლებზე დაუჯდა, კისერზე ხელი მოჰხვია და უძღვნა უწმინდესი კოცნა, ახალგაზდა დედის ამბორი. შემდეგ უბრალოდ, უშესავლოდ გაუმხილა, რომ ფეხმძიმედ არის.

ვახტანგს ცივი ოფლი დაასხა, როგორც მხდალის მეომარს, ამწვანებულს მდელოზე რომ უზრუნველად მიდის მღერით და ულვებ მტრის მიერ გათხრილს საფარს აწყდება. მაგრამ ჩქარა თავი შეიკავა და უცნაურად გაიღიმა. შემდეგ გამწყდარი ხმით იკითხა, ხომ არ სცდება ელენე.

ქალს ცოტა არ იყოს ეუცხოვა ყმაწვილის გამომეტყველება და კილო ⁄ მზრუნველობით ჰკითხა, ხომ არ სწყენია ეს გარემოება.

— ოჰ, არა! თამამად შეუძლიან სთქვას, რომ არ სწყენია... მხოლოდ ცოტათი ააღელვა მოულოდნელობამ... რაიცა სრულიად ბუნებრივია, რასაკვირველია... რაც შეეხება სოფლად გამგზავრებას, ამისათვის მომზადებას კიდევ ცოტაოდენი ხანი სჭირია, უსათუოდ. საჭიროა თავდარიგის დაჭერა, დედამის წინ და წინვე გაფრთხილება. ასე უცებ მიხდომა როდი შეიძლება. თვით ელენეც ამ აზრისაა, უეჭველია.

ქალი ძალაუნებურად დასთანხმდა რამოდენიმე დღით დაცდას. შემდეგ სთხოვა, დღეს მაინც ჩვეულებრივზე მეტს ხანს დარჩენილიყო, რადგან საზოგადოებისა და ოჯახისას არაჩვეულებრივს მოთხოვნილებას გრძნობდა. მაგრამ ვაჟმა თავის ტკივილი მოიმიზეზა და ადრიანად გავიდა სახლიდან.

***

შუბლი უხურდა, საფეთქელი უცემდა, სასა უშრებოდა, გზა-გზა ვერაფერს ჰხედავდა, არც არა რა ესმოდა. ვერის ხიდზე მდინარის დუდუნმა უცებ გამოარკვია. ვიწრო ბილიკით დაეშვა და წყლის პირას დაჯდა.

ბნელოდა. საღამოს გრილი ნიავი ჰქროდა. სამხრეთის ლურჯი ცა მოჭედილი იყო ვარსკვლავებით. მაგრამ ვახტანგი ირგვლივ ვერაფერს არჩევდა. სცდილობდა ახლად შექმნილი მდგომარეობისათვის ანგარიში გაეწია, რაიმე გზა გამოენახა, მაგრამ ვერ სძლებდა. ბოლოს გადასწყვიტა ნერვების დასამშვიდებლად მდინარეში ებანავა. მტკვრის ამღვრეულმა ტალღებმა ამღვრეული სისხლი ოდნავაც ვერ დაუმშვიდა.

ისევ ზევით ამოვიდა და უმიზნოდ ხეტიალი დაიწყო. ნაშუალამევს ავლაბრის ერთ პატარა სარდაფში ჩავიდა და მწვადი და ღვინო მოითხოვა. მეხუთე ჭიქის შემდეგ დაინახა, რომ მისი მდგომარეობა არც ისე გამოუსვლელი იყო, როგორც პირველად ეგონა და ცოტათი გულ-გამხიარულებულმა სარდაფის პატრონი მიიპატიჟა. მეათე ჭიქის შემდეგ მან მიკიტანს, როგორც ტარიელმა ავთანდილს, თავისი რომანტიული თავგადასავალი უამბო.

შინ გათენებისას მივიდა და ტანთგაუხდელი დაწვა. უკვე ბინდდებოდა, როცა გამოეღვიძა. პირველად ელენეს ნაამბობი გაახსენდა, შემდეგ ის გადაწყვიტილება, სამიკიტნოში ყოფნის დროს რომ თავში გაუელვა. ჩქარა ადგა და ენერგიული ნაბიჯით ქალის ბინისაკენ გასწია.

ოთახში სანახევროდ ბნელოდა. ვახტანგი ელენეს მხიარულად მიესალმა, ხელებში ხელი ჩასჭიდა, ფანჯარისკენ მიიზიდა. ქალმა თვალებით ჰკითხა ახალი ამბავი. ვაჟმა ის მკერდზე მიიკრა და ტუჩებზე ხანგრძლივი კოცნა აღუბეჭდა. შემდეგ თავი აიღო, წარბები შეიკრა და თავისი გადაწყვეტილება გაუმხილა, გონიერი რჩევა იმ მაღალი რასის წარმომადგენელისა, ნაკლებ რომ მრავლდება. ქალმა გულზე ხელი ჰკრა და გაშტერებული თვალებში ჩააცქერდა. მან დაინახა ვაჟის გაფითრებული სახე საღამოს მწუხრში გახვეული. და ამ სახეზე, მას რომ ყოველთვის ასე სპეტაკად მიაჩნდა, პირველად ეხლა აღმოაჩინა ლაქა, საშინელი ლაქა, რომელიც არასოდეს არ წარიხოცება. ოდნავ შეჰკივლა და ტახტზე დაეშო... შემდეგ დაღვარა ცრემლები, მწარე ცრემლები იმედ-დაღუპული ადამიანისა.

შემდეგი იქნ ება.

გერონტი ქიქოძე.



„საზოგადოებრივი კლუბის“ უცხო სტუმარი: ეს ვინ არის?

„საზოგადოებრივ კლუბის“ წევრი: ეს გახლავთ ახალგაზდა **კრიტიკოსი** და ლექტორი, **რომელსაც** დარჩა ტფილისის სალექტორო **ბურთი** და მოედანი?!.

ტფილისი, მუხრახის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. **კურდღელაშვილი**. გამომცემელი ა. **ჯაჯანაშვილი**.